№ 271 დეკემბერი 20, კვირა 1892 დეკემბერი 20, კვირა № 271

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

„ივერია“

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისის დედათა ინსტიტუტის საბჭო აცხადებს, ინსტიტუტის მოწაფე ქალთა დედმამისა და ნათესავთა საცნობელად, რომ მის უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა კანცელარიის მმართველმა 18 დეკემბერს დეპეშით გვაუწყა: უმაღლესად ნაბძანებია **შობა-ახალ-წლის დღესასწაულებში თფილისის დედათა ინსტიტუტის მოწაფე ქალები სრულიად არ დავითხოვოთ თავიანთს სახლში.** (1—1)

„კვალი“

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

(დამატება „ჯეჯილისა“)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ „ჯეჯილის“ რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლათ.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.

ვინც „ჯეჯილსა“ და «კვალს» ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა

სახლების ამშენებელ ამხანაგობისაგან სახლების ამშენებელ ამხანაგობის კანცელარიაში მსურველთ შეუძლიანთ მოილაპარაკონ მმართველთან 1 იანვრიდამ: ორშაბათობით, სამშაბათობითა და ოთხშაბათობით, დილის 10 საათის ნახევრამდე, ხოლო კვირაობით—12 საათამდე. (10—1)

მცირე შენიშვნა

(კახეთის რკინის გზის გამო)

ტფილისსა და ბაქოს შუა რკინის გზა ისეთს მოუხერხებელ, თითქმის გავერანებულ, დაბა-სოფელ მოშორებელ ადგილებზე იქმნა გაყვანილი, რომ პირველშივე დიდ ზარალს უქადოდნენ მის გამკეთებელს ამხანაგობას და, ასე გასინჯეთ, ყოვლად უმნიშვნელოდაც-კი ჰხადიდენ. მხოლოდ იმედი ჰქონდათ ბაქოს ნავთის წყაროებისა. პირველში სწორედ ასეც იყო. რკინის-გზას ტფილის-ბათუმისკენ მხოლოდ ნავთი მიჰქონდა და მარტო ბაქოს სადგური მუშაობდა... სხვა ტფილისიდამ ბაქომდე დაარსებული აუარებელი სადგურები ხარჯის მეტს გზას თითქმის რომ არავითარს შემოსავალს არ აძლევდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. პირველი—გზა დასახლებულ ადგილებს მოშორებული იყო და მეორე—თვით ადგილობრივი ხალხი ვაჭრობას არ იყო შეჩვეული. დღეს-კი რასა ვხედავთ? დღეს ძლიერ მცირეა იმ სადგურთა რიცხვი, რომელიც არა მუშაობდეს და რკინის გზას მართლა რომ გასაოცარ შემოსავალს არ აძლევდეს. ხალხი ცოტ-ცოტათი რკინის გზის ლიანდაგს მიუახლოვდა. სადაც წინად ადამიანის სუნიც-კი არა ტრიალებდა, დღეს გაჩაღებული დაბა-სოფელი გაშენდა. გაშენდა სოფლები და გაცხოველდა ვაჭრობა-მეურნეობა. დღეს რა გვარი სოფლის ნამოქმედარ-ნაშრომს დაასახელებთ, რომ ამ ოდესღაც გავერანებულ მხარედამ არ მოდიოდეს. არ დავასახელებთ წვრილმან რაგინდარას, მაგ. ხილეულობასა და ბაღეულობას... წინად სად იყო ის, რომ დღეს აქეთ მხარეს მარტო ძირტკბილის ქარხანა სამია და აუარებელი ფული ტრიალებს ხალხში. ძირ-ტკბილის ქარხანა განჯისა, ლიაკისა და უჯარის სადგურებზეა. როდის გადიოდა საქვეყნო ბაზარში მატრასოსა და ქურდამირის ღვინო? დღეს-კი ეს ღვინოები, ტფილის-ბათომსა, ქუთაისსა და სხვა ჩვენის მხრის ქალაქებს გარდა, თვით რუსეთშიაც-კი ას-ას ბოჭკობით იგზავნება. ღვინის წარმოებას არაყის წარმოებაც მოჰყვა და მთელ მატრასიაში (შემახიის მაზრაში) ისეთი სოფელი არ მოიპოვება, რომ სამს და ხუთს არაყის სახდელ ქარხანას არ შეჰხვდეთ. მარტო სოფ. ქურდამირში ორმოცამდე არყის სახდელი ქარხანაა დღეს. ყოველ ამას გარდა, ტფილისიდამ ბაქომდე დღეს იშვიათია სადგური, რომ პური, ბრინჯი და ქერი მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ არ იგზავნებოდეს დიდ ბაზრებისკენ, საქონელს გარდა. ნუ დაივიწყებთ, რომ პირველში სახალხო მატარებელი ტფილისსა და ბაქოს შუა თითქმის სულ ცარიელი იყო და მხოლოდ მოსამსახურე-მოხელეთათვის დადიოდა. დღეს მატარებელში ტევა აღარ არის. ბაქოს მხარეს ისეთი სადგურებია, რომელთაც დაარსებიდამ ბილეთი არ გაუყიდნიათ რამდენისამე წლის განმავლობაში, დღეს-კი არამც თუ სადგურები, თვით პაწაწინა სადგურებშიაც-კი ბილეთებს თხოულობენ. ისეც უნდა ყოფილიყო. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა გაძლიერდა და ხალხის მისვლა-მოსვლამაც ამ ათს წელიწადში ერთი ორად იმატა. დღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზა დიდად ხელ-საყრელია და სახეირო ხაზინისათვის. ეს გზა გაძლიერდა, გამდიდრდა და დიდ შემოსავალსაც იძლევა. შარშან თუ შარშან-წინ მისი შემოსავალი იყო 13 მილიონი. ნაღდი მოგება დარჩა ხაზინას $6^1/_2$ მილიონი მანათი *). წელს, როგორც ამბობს жур. „Вѣст. Евр.“—შემოსავალი ავიდა 16 მილიონს მანათამდე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაში ითვლება სამსახურში სულ 5,000 კაცი. წელიწადში ეძლევათ ყველას 2.400,000 მან., ორთქლის მატარებელი მუშაობს დაახლოვებით 232, სახალხო ვაგონი 200, საქონლისა—4350. ხალხი გადად-გადმოდის ამ გზით დაახლოვებით 1 მილიონამდე, საქონელი 90 მილიონ ფუთამდე **).

ზოგიერთს საინტერესო ციფირებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ზრდისა და წარმატებისას, სადგურთა მუშაობისა და შემოსავლის გაძლიერებისას, იმის ზედ-დართვით, თუ საიდამ სად, რა და რაოდენი საქონელი მოდის, ან მიდის, შემდეგ დავბეჭდავთ.

ახალი ამბავი

⁂ † **გრიგოლ იერემიას ძე არწრუნი.** სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს: შაბათს, 19 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ გარდაიცვალა გამოჩენილი მოღვაწე და მწერალი, რედაქტორი გაზეთ „მშაკისა“, ცნობილი გრიგოლ იერემიას ძე არწრუნი. ეს პატივცემული და მხნე ლიტერატორი ერთი უკეთეს სომეხთა მოღვაწეთაგანი იყო ამ უკანასკნელის 20—30 წლის განმავლობაში. გრიგოლ იერემიას ძე არწრუნი ბოლოს დრომდე კარგად იყო ჯანზედ. ამ ერთის კვირის წინად, წარსულ შაბათს, განსვენებული ფოსტაში ყოფილიყო, იქ გაციებულიყო და ცალის ფილტვის ანთება მოსვლოდა. თუმცა ძლიერ კარგი პატრონობა გაუწია სახლობამ, რამდენიმე ექი-

---

*) იხ. „Спутникъ по Русскимъ желѣзнымъ дорогамъ“.

**) იქვე.

ფელეტონი

კენჭოსანი

დღიური ბანკისა და სარკინის-გზო საზოგადო კრებაზედ ჩამოსულ თავადიშვილის ბარძიმისა *).

ზ. თიბათვე. მოვრჩით ბანკის დავიდარაბას, ყოველივე დავალაგეთ და დავაწყნარეთ. ნისიები დავთვალეთ, ნაღდი ფული ვიანგარიშეთ, დავთრები გავასწორეთ, ხალხს ჯამაგირი მივეცით და გამოვუდექ მამა-პაპის კურთხეულს, სოფლის გზას. ქალაქიდგან საგზაოდ სამიოდე თუნგი ღვინო წამოვიღე, მამა-სისხლად ნაყიდი, მაგრამ ისეთი მწკლარტე იყო ის სულ-დამწვარის ნარევი, რომ პირი სულ ერთიანად ამილანძა. ისეთი დათეთქვილ-დაჩეჩქვილი ვიყავი ამდენის ხეთქებისა და ორონტრიალისაგან, რომ სული მაშინ ძლივს ამოვითქვი, როცა ჩვენს ორღობეს იქით გადაჰიმულს ხნულებს ჩამოვუარე. ჰა ბეჩავ, ხუმრობა საქმე-კი არ იყო: მე ცხრაკოკიანს ქვევრს ვუახლოვდებოდი და ქვევრი კიდევ მე მიახლოვდებოდა. ერთის მხრივ ქვევრი მელოდდა და მეორეს მხრივ ჩემი ჩასუქებული, ბროლ-ღაბაბა ბარბარე. არა, იმას რა სჯობია, რომ დალევ და წამოგორდები, ადგები, ისევ დალევ და ისევ წამოგორდები. კარგია, წყეული, ვისაც ქალაქში საკუთარი ბანკი აქვს და თითონ-კი სოფელში სცხოვრობს მოსვენებით. მართალია, ათასში ერთხელ უნდა გაიჭირო საქმე, წახვიდე, იქაურობას დახედო, მაგრამ არც უამისობა იქნება, „კაცნი გვქვიან, შვილნი ქვეყნისა“, თუ ჩვენს საქმეს ჩვენ არ მოვუარეთ, სხვა აბა რა კეთილს დააყრის!..

გ. თიბათვე. ძლივს ამოვიღე ქარი. დალახვრა ღმერთმა, ერთი კვირა თავი ძლივს გამომებერტყა იმ წყეულ ბანკის ფიქრისა და ზრუნვისაგან. ისე არ გამოვცლიდი იმ ძირ-მურიანს დოქსა და არ წავგორდებოდი, რომ ძილში ბანკის ანგარიშები არ ჩამყოლოდა. ყურში სულ ის ჩამესმოდა: „არ გვინდა, არა, არ შეგაჰმევთ“. ასე ძნელია აი ქვეყნისათვის თავის ატკიება: მერე ველარ დაიწყნარებ, გულს გულის ალაგას ველარ დაიყენებ, გაჭენებულ ცხენსავით უეცრად თავს ვერ დაუჭერ, რაც უნდა მედგრადა სწიო ლაგამს. სულ-კი ამ ბარბარეს ბრალი იყო!.. ვეღო, ჩამაცივდა, ქალაქში რა მოისაქმიანეო. ახლა შემეცოდა, თორემ განა ხმას ვერ ჩავაწყვეტინებდი: საცოდავს, ჩემს ქალაქში ყოფნაში, ი პაწია ქვევრიცკი ძლივს ჩაენახევრებინა, ისე ყოფილიყო ჩემს დარდსა და ფიქრში.

— რა უნდა მომესაქმა, დედაკაცო, რა დაგემართა, რით ვერ გაიგე: ვიანგარიშეთ ბანკი და ჩამოვედი-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ მაინც არ მომისვენა, მანამ სულ დაწვრილებით არ გამომკითხა.

— როგორ იანგარიშეთო?

— აი დიდება შენთვის, ღმერთო! როგორ უნდა გვეანგარიშნა, ნისია, მოგება და დანახარჯი დავთვალეთ და ყველას თავ-თავისი სარისტა მივეცით.

— მერე, კაცო, იყო რამე მოგება?

— აი, ცხონება აქვთ იმათა, კაი მოგება მე ჩამომყვა, აჰაი! ამოდენა კაცი მოვცდი, მოვიშრიტე და ჩემი ფულიც იქ დამეხარჯა, თორემ მოგებას ვინა სჩივის. რის მოგება, თავნში ძლივს გამოვსულვართ, ქვეყნის ხარჯი და ნისია ყოფილა. ან რა საკვირველია, შვილოსან, რომ არ შევცოდო, სულ ცოტა, ორმოცი კაცი გვყოლია ყურის საგდებლად დაჭერილი. აბა იმათ ჭამა არ უნდათ, ჩაცმა, დახურვა? ღვთის წინაშე, მე ისიც მიკვირს, როგორ ვუძლვებით ამდენს ხარჯს, ამოდენა ჯუქამსა!

— კაცო-და, მერე მაგდენს ხალხს რა თავში იხლით, რაზედ აჭმევთ თქვენს ქონებასა?

— არ იქნება, ბარბარე, ადვილი

---

*) მკითხველს ეხსომება ის შესანიშნავი დღიური ბანკის საზოგადო კრებაზედ ჩამოსულ თავადიშვილისა, რომელიც ქართულ თეატრის ბუფეტის დაზგასთან ვიპოვნეთ ნაჭამ ბოლოკის ფოჩებსა და კვერცხის ნაჭუჭებს შორის (იხ. „ივერია“ ამ წლისა, № 101). ამ დღიურში ბარძიმი ბანკის კრების ამბავს მოგვითხრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაბოლოვებული არ იყო და ვერც შევიძლებდით დაბოლოვებას, რადგან ვინ გამოიცნობდა იმდენს ხალხში ბარძიმს, რომ გვეთხოვნა დღიურის დასასრული.

გუშინ-წინ ვნახოთ რედაქციაში ერთმა ღიპიანმა ლუარსაბისებურმა ქართველმა შემოჰყო თავი. ახალუხის ღილები ნასხვრად გახსნილი ჰქონდა, ზედ ქართული ბუზმენტიანი კაბა ეცვა და სახე სულ მთლად წითლად უღაჟღაჟებდა.—„ლედახტორი“ ვინ არისო? იკითხა უცნობმა.—რად გნებავთ?—რა ვიცი, შვილოსან, ასე მითხრეს, შენი ბარათი გაზეთში ჩაუგდიათო, და ის უნდა ვთხოვო.—ვინა ბრძანდებით?—ბარძიმი ვარ, კარგად უნდა მიცნობდეს, ჩვენი გვარია და მთელი კახეთი. კიდევ მოუტანე, იქნება გამოიყენოს. რასაკვირველია, მაშინვე ვიცანი. ბარძიმი სარკინის-გზო კრებაზედ ჩამოსულიყო. გაზეთი შევსთავაზე და იმანაც გრძელი უსტარი გადმომცა თავის ნაწერისა, რომელშიაც დასრულებულია ბანკის კრების ამბავი და დაწყებულია ახალის კრებისა და რომელსაც აქვე ვბეჭდავთ. ავტ.

მი ადგა, მაგრამ ვერა ეშველა-რა ავადმყოფს. შაბათს დილით მეორე ფილტვის ანთებაც მოუვიდა და, ნაშუადღევის 2 საათზე, გრიგოლ იერემიას ძე არწრუნი გარდაიცვალა. განსვენებული 48 წლისა იყო.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი, როგორც დაუღალავ და პატიოსან მოღვაწისა, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის თავის ხალხის წინაშე.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, ვითომც ერთმა კომპანიამ ფრანგებისამ გამოუცხადა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. ლ. ა. მაღალაშვილს, რომ იგი მზად არის გააკეთოს თავისის ფულით კახეთის რკინის-გზა და ხარჯი აიღოს თავად-აზნაურობისაგან მხოლოდ მაშინ, როდესაც გზა უკვე მზად იქმნება. ასეთი წინადადება იმითია კარგი, რომ თავად-აზნაურობას აღარ გაუჭირდება გამოსცეს საჭირო რაოდენობის ობლიგაციები, თვით აშენებულ გზის უზრუნველ-ყოფით, და შემდეგ ობლიგაციებში აღებულის ფულით გაისტუმროს ხსენებული კომპანია.

⁂ 19 დეკემბერს, მომრიგებელ სასამართლოს მესამე განყოფილებაში გარჩეულ იქმნა საქმე წისქვილის პატრონის პარუნბეგოვისა, რომელსაც ქალაქის გამგეობის აგენტებმა ოქმი შეუდგინა გაფუჭებულ ფქვილის გაყიდვისა გამო. მოსამართლემ დამნაშავედ იცნო ბ-ნი პარუნბეგოვი და დაადგინა შემდეგი განაჩენი: რადგანაც ცუდს ფქვილსა ჰყიდდა, ამის გამო ერთის თთვით დაპატიმრებულ იქმნას პოლიციაში პარნუბეგოვიო და, თუ პოლიციაში ადგილი არ იშოვებოდეს, გაიგზავნოს ერთის თთვითვე ქალაქის საპატიმროში.

⁂ ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ნიკოლოოზ ეგნატეს ძის მრევლიშვილისაგან სამი მანეთი ბ-ნ თ. ჟორდანიას საისტორიო «ხრონიკების» დასაკვეთად. ამ ფულისა გვქონდა 232 მან. ამით შესდგა 235 მანეთი.

⁂ როგორც გავიგეთ, მიხეილ საბინინმა რუსეთიდგან სამი ყუთი საეკკლესიო შესამოსელი გამოუგზავნა დავით გარეჯის მონასტერს. ბ-ნს საბინინს 1,000 მანათი შეუგროვებია შემოწირულებით და ამ ფულით უყიდნია.

⁂ ტფილისის დედათა ინსტიტუტის მმართველობას პეტერბურგიდგან ბრძანება მოუვიდა, მომავალ შობა-ახალწლის დღესასწაულებში მოწაფე ქალები სრულებით არ დაითხოვოთ თავიანთ სახლებშიო.

⁂ რუსეთის სახელმწიფო რკინის გზათა მთავარ მმართველობას განზრახვა აქვს დანიშნოს რამდენიმე აგენტი და დაავალოს სხვა და სხვა ადგილებში შეკრიბონ ცნობები მეურნეობისა, მრეწველობისა და ვაჭრობის შესახებ.

⁂ რუსეთის ზოგიერთ რკინის გზის მართველობას გადუწყვეტია, რკინის გზის მოხელეთ უეჭველად უნდა ტელეგრაფის საქმე იცოდნენო. ყველა მოხელეთ ვადა ეძლევათ, 1893 წლის ოქტომბრამდე ეს საქმე შეისწავლონ და, თუ მაშინ არ ეცოდინებათ, სამსახურიდგან დაითხოვენ.

⁂ ამ წლის გაზაფხულს ქ. ბაქოში შემოღებულ იქმნება სამოქალაქო ახალი დებულება და მოხდება არჩევანები ქალაქის მოურავისა. ქ. ბაქოს მოურავის კანდიდატ ასახელებენ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრს პ. ა. იზმაილოვს.

⁂ 14 დეკემბერს ბაქოში ერთს აგენტს, ს. ი. ჯაყელს, ლონდონიდგან დეპეშით შეატყობინეს, რომ იანვრის პირველ რიცხვებში ბათუმს მოვა ახალი გემი „ბაქოს სტანდარტი“, რომელიც 300 ათას ფუთს ნავთს იტევს თურმე. ამ გემით შავის ზღვით ევროპაში წაიღებენ საქონელს.

⁂ ოფიციალური ცნობით ტფილისში 1 დეკემბრიდგან 8 დეკემბრამდე კვლავ ავად გახდა: ხუნაგით 2 და ყელჭირვებით 11, იმავე დროს გარდაიცვალა: ხუნაგით 1 და ყელჭირვებით 1.

⁂ ახალ-სენაკი: ამბობენ, რომ ბატონ აშორდიას განუზრახავს ახალსენაკში გაზეთის კამოცემა მეგრულს ენაზე (?). გაზეთს სახელად ერქმევა „მეგრელია“, გამომცემლად იქნება სენაკის სტამბის პატრონი ბ-ნი თავართქილაძე. აგრეთვე ბატონ აშორდიას ბევრი წიგნები აქვს ნათარგმნი მეგრულ ენაზედ და ამ წიგნებს ბ-ნი თავართქილაძე გამოსცემსო. რამდენად მართალია ეს ამბავი, არ ვიცით.

⁂ ბარის ოსეთი: ბარის ოსებს, ხოლერამ, რაც უყო, ხომ უყო, და რაც არა, თავიანთს თავს უარესს უშვრებიან სხვა-და-სხვა მავნე ჩვეულობით, ე. ი. ხოლერით გარდაცვალებულთათვის გამუდმებულ წირვებით (ქელეხით) და თან დოღებით. მიცვალებულთათვის დოღების გამართვა ბარის ოსებს დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ წელს ხელ-მეორედ ერთი-ორად გაახშირეს და, ასე გასინჯეთ, გარდაცვალებულ დედაკაცებსაც დოღებს უმართავენ, რაც წესად არას დროს არ ყოფილა. დოღებს, უზომო ხარჯის გარდა, ხშირად ადამიანის მსხვერპლიც მოსდევს ხოლმე; ჩხუბსა და უსიამოვნებას ხო საზღვარი არა აქვს; მაგალითად: სოფ. ხუმელაგაში, გამალებულ დოღის ცხენებს ველარ გადაასწრო გზიდგან შეზარხოშებულმა ხუმელაგელმა თემირა აქოევმა, წააქციეს და მძიმედ თავი გაუტეხეს; დღესაც ლოგინში წევს და კვნესის. სოფ. ბესლანში ერთი სამის წლის ყმაწვილი ჩაიგდეს ფეხქვეშ დოღის ცხენებმა და საზარლად გასრისეს. ყმაწვილი იმავე საათს გარდაიცვალა.

მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და სათადარიგო ჯარში ჩაირიცხა პოდპოლკოვნიკი თ. ამილახვარი, მუნდირით და პენსიით.

სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

ჩვენი თავად-აზნაურობა დიდს ფიქრს არის მიცემული იმის გამო, თუ სად იშოვნოს ფული კახეთის გზის გასაყვანად, უკეთუ ეს უფლება მიანიჭა მთავრობამ. მართლა-და ძრიელ ბევრი და კაი ფიქრიც უნდა ამ საქმეს. ეს ხომ აშკარაა, რომ საჭირო ფულს აქეთ, ჩვენს ქვეყანაშივე, ვერას გზით ვერ იშოვნით. ჩვენებური ფული, ჩამწყვდეული ვაჭრის ხავსმოკიდებულ ჯიბეში, სინათლეს ვერ დაინახავს. იმან ქურდულად უნდა იაროს, რომ აუყაყანებლივ წლის განმავლობაში ერთი ორად იქცეს და მერე დუქნის დახლში ამოჰყოს თავი. მეტი შნო ჩვენებურს ფულს ჯერ არ გამოუჩენია. მაშასადამე, ფული უნდა მოვიდეს ისეთ ადგილებიდგან, სადაც იგი გულ-ახდით, აშკარად გადადის ხელიდგან ხელში და ქვეყნის თვალის წინ სარგებელს იღებს წელიწადში მხოლოდ 3—5 პროცენტამდე და კიდევ მაინც სიძვირეს უჩივიან, კიდევ მაინც ვერ უშოვნია სანდო მუშტარი და უშიშარი საქმე, რომელიც მან უნდა გააძლიეროს და თითონაც გაძლიერდეს. ერთის სიტყვით, ფული უნდა მოვიდეს პეტერბურგისა და მოსკოვის ბირჟიდგან, ან საზღვარ-გარეთიდამ სადაც იგი, რამდენსამე ას მილიონ მანეთად თავ-მოყრილი, ამძიმებს ბანკების ზანდუკებს და სჯერდება ნება-უნებურად ორსა და სამ სარგებელს. ეხლა საქმე ის არის, როგორ უნდა მოიპოვოს გული და ნდობა ბირჟისა ჩვენმა თავად-აზნაურობამ. ვინ და როგორ დააჯერებს ბირჟას, რომ კახეთის გზა სასარგებლოა და რომ ფული, ამ გზის თავდებობით გაცემული, ხეირის მეტს ვერასა ჰნახავს, ზარალს მასთან ხელი არ ექნება. აი საგანი, რომელსაც ჩაუფიქრიანებია და სამართლიანადაც ჩაუფიქრიანებია ჩვენი თავად-აზნაურობა.

მაგრამ ვიდრე ქართველი თავად-აზნაურობა ფიქრს მისცემია, ჩვენ იმას დროებით თავი დავანებოთ—დეე, იფიქროს, რადგან ეს მისთვის უცხო ხილი მეტად სასარგებლო რამ არის,—და გავიხსენოთ ამ ზაფხულის ნეტარ-სახსენებელი კრება სათავად-აზნაურო ბანკისა, მე ეხლაც ყურში მიდგა ის გრგვინვა-ქუხილი ეგრედ წოდებულის მითამ-და ოპოზიციის მოთავეთა, შესახებ ბანკის გამგეობის ერთის მოხსენებისა. მოხსენება შეეხებოდა მეტად ხელსაყრელ საგანს: ვთხოვოთ მთავრობას და ავიღოთ უფლება, რომ შეგვეძლოს გავცეთ სესხი არა მარტო უძრავ ქონების თავდებობით, არამედ ქალაქების, ერობათა და საზოგადოებათა თავდებობითაცაო. გამგეობამ წარმოადგინა ამ საგნის გამო დალაგებული და ვრცელი მოხსენება მოსკოვის ბანკისა და სთქვა, ამაზედ უკეთესად მე ვერ განვმარტამდი საქმეს, ავდგეთ და ჩვენც მოსკოვის ბანკთან ერთად ვსთხოვოთ მთავრობას ხსენებული უფლებაო და, როცა სასარგებლოდ დავინახოთ, გავცეთ ხოლმე ფულიო.

მოსკოვის ბანკის მოხსენებაში დასახელებული იყო ათასი მაგალითი ევროპის ცხოვრებისა, სადაც ბანკები აძლევენ რამდენსამე მილიარდ ფულს ქალაქებს, სოფლებს, საზოგადოებათ, მწარმოებელ ამხანაგობათა, სადაც ეს ბანკები ამის გამო თუ არ იგებენ, არაფერს ჰზარალობენ და თანაც მათის შემწეობით ქალაქები, სოფლები, კომპანიები, წარმოება მეტად აყვავებულია, რადგან იაფ ფასიან ფულსა შოულობენ და სარგებლიან საქმეს ჰკიდებენ ხელს.

მახსოვს, როგორის რიხით წამოდგა ჯერ ერთი მთავარ-სარდალი მითომ და ოპოზიციისა და სწორედ ჯვარს აცვა გამგეობა ასეთის რჩევისათვის: „სადა გქონდათ ჭკუა, რომ ასეთს სარჩიელს იძლეოდითო! ვინ მოგახსენათ, რომ ჩვენ მაგ რჩევაზე გავიდლითო! სულაც არაო. სხვათა მოხსენება გისესხნიათ და მაგით გინდათ ფონს გახვიდეთო! უკაცრაოდაო. აბა, თუ ბიჭები ხართ, თქვენის თავიდგან გამოიღეთ ეგ საგანი და საკვლაოდ წარმოგვიდგინეთო!“ ასტყდა დაუსრულებელი ტაშის ცემა, ბუკი და ნაღარა. წინწილანი დაატკბობდნენ ყურსა ბანკის საოპოზიციო წევრთასა. წამოდგა მეორე მთავარ-სარდალი.. როგორც აღმოჩნდა, თურმე ოპოზიციის წევრნი სულ მთავარ სარდლები ყოფილიყვნენ. მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ როდესაც იმათ მოიყარეს თურმე თავი, ყველა მათგანი ისეთი სანახავი იყო, ისეთი ჭკვინი, გამჭრიახი, ისეთი მჭერმეტყველი ორატორი, რომ ერთ-ხმად

საქმე ხომ არ არის: ერთი თამასუქებსა სწერს, მეორე—ბეჭდებსა ჰკრავს, მესამე—ფულსა სთვლის, მეოთხე—ნისიას ანგარიშობს, მეხუთე—გირაოს აფასებს, მეექვსე—მამულის პატრონს ევაჭრება, მეშვიდე—ფიშქარად არის და აქეთ-იქით დადის, სად მოგითვალო? ყველას თავ-თავისი საქმე აქვს მიჩენილი, უსაქმოდ არავინ არის.

— მერე?

— მერე-და... დედაკაცო, ლუკმა ნუ ამომაშხამე, საჭმელი შემარგე, რას ახირდი: მერე-და, მითხრეს, საქმეები გავათავეთო, ავდექი და წამოვედი.

— ხალხი ბევრი იყო? არ დაიშალა თავისი ბარბარემ.

— რა ვიცი, შვილოსან, მეფის ქორწილზედაც არ იქნებოდა იმდენი ხალხი. სულ ღორ-ხბოსავით-კი იყვნენ არეულნი ერთმანეთში-და: დიდი, პატარა, თავადი, აზნაური, სომეხი, ურჯულო, ქალი და კაცი.

კიდევ რაღაცა იკითხა ბარბარემ, მაგრამ ამ დროს ისეთი დანივრული დედლის წვენი შემოიტანა ბიჭმა, რომ ბანკისათვის ვერც ერთმა ვერ მოვიცალეთ.

კდ. თიბათვე. ღმერთმა უშველოს დედლის წვენს! ის რომ არ შემომსწრებოდა, ძალიან გამიჭირდებოდა საქმე. დალახვრა ჩემმა წმიდა გიორგიმ, იმ ბანკის აურზაურს მეც ვერ გავუგე თავი და ბოლო. ბარბარე-კი ჩამაცივდა, რა იყო და როგორ იყოო. თ. ლუარსაბ თავფშუტაძე რომ არა ყოფილიყო, იქნება სულაც ვერა გამეგო-რა. იმან ჩამაგონა, რომ ილიკო ჩვენი ამორჩეული კაცია, ჩვენი მოურავი, პირობის წერილით აქვს ბანკი ჩაბარებული და სულ ისა ჰშლის საქმესაო. სწორედ რომ არც მე მომეწონა ი ილიკო. ვეჰო, წამომდგარა და გაიძახის, მე თქვენთვისა ვზრუნავო. ახირებულია, ღმერთმანი! „ურიის პური ჭამე, ურიის ხმალი მოიქნიეო“. არა, მაშ ვისთვის უნდა იზრუნოს, მაშ იმოდენა ბოხჩა ასიგნაციებს რად ვაძლევთ ჯამაგირად?!. ბევრი ვიძახე, თავფშუტაძესაგან შეკეთებულმა, არ გვინდა, გამოვცვალოთ-მეთქი, მაგრამ არ იქნებაო, მითხრეს, ვადა არ დასდგომიაო. ბიჭოს, რომელი ვადაო, რას მიჰქარავენ! ორსული დედაკაცი ხომ არ არის, რომ ცხრა თთვეზედ ადრე არ იშობებოდეს ყმაწვილი! ხომ ჩემი მოურავია, ჩემგან დაჭერილი, ჩემგან ეძლევა ჯამაგირი? მერე-და ჩემს მოურავს მევე ვერ გამოვცვლი? უცნაურია, თქვენმა მზემ! ჭკვიანი კაციაო! ბიჭოს-და, ვინ ართმევს მერე ჭკუას, თავფშუტაძისა არ იყოს, ქვეყანა იმაზედ ამოვარდნილა? ნასწავლიაო! ჩვენი მთავარი დარისპანი-კი არ არის ნასწავლი, თერთმეტი წელიწადი ვსწავლობდიო, ამბობს, მაგრამ კრინტის დაძვრას როგორ გამიბედავს, სულ კუდით ქვას ვასროლინებ. მწერალიაო! თუნდა მწერალი იყოს, თუნდა გადამწერალი, მაშ ჯამაგირს რად მივცემდი, წერაც რომ არ იცოდეს?!

კთ. თიბათვე. არა, არა, ვერ უპატრონებიათ საქმისათვის რიგიანად. წრეულობითაც ასე იყოს და მერმის ყველაფერს ისე გავჩალხავ, რომ სულ თავისს რიგსა და წესში ჩავაგდო. ჯერ ერთი, რა ნება აქვთ, რომ რუსულს წამოურევენ ხოლმე და ტვინს გვიბნევენ. ვეჰო, თუ პატრონი მე ვარ მაგ საოხრო და სატიალო ბანკისა, ისე მელაპარაკე, მამავ და ძმავ, რომ ჩემის ანგარიშისა მეც გავიგო რამე. თუ არა-და, რას გადასცემ და გადმოსცემ. ქართულიც-კი ისე არა სთქვა ის ილიკოა რაღაცა, რომ შიგ უცხო და უცნაური სიტყვები არ გამოერია. კონვერსიაო!.. ვერსობით იჭერდა საქმეს, მაგრამ დამაცადოს, მე ვაჩვენებ სეირს: მაშ ეს ულვაში ზედ არა მსხმია და ბარძიმს თავზედ დედაკაცის ჩიქილა დამხურეთ, თუ, ვერსი-კი არა, გოჯის ოდენი დავუთმო რამე. თავფშუტაძისა არ იყოს, ვნახოთ მერმისს რაღას იტყვის?.. მეორე კიდევ, ი ფულს რომ დაუწყეს განაწილება, ეს ამ შკოლას და ეს იმასაო, უნდა მეთქვა: ბეჩა, ჩვენთვისაც გადასდეთ რამე, ე ამოდენა ხალხს შიმშილით რადა გვხოცავთ-მეთქი. ი სასმელ-საჭმლის დუქანი რომ არის ჩვენს მამულში გამართული, ქირას ნულარ გამოვართმევთ და ე თავად-აზნაურობას აჭამოს ანგარიშის დროსა-მეთქი. კარგად-კი მომივიდოდა, მაგრამ, დალახვრა ეშმაკმა, იმის ფიქრში რომ ვიყავი, როგორა ვთქვა-მეთქი, წამოვლემოდა და როცა გამომეღვიძა, ყველანი დაშლილიყვნენ, საქმეები სულ ერთიანად გაეთავებინათ... ეე, ძაღლი ახსენე და ჯოხი გვერდზედ მოიგდეო, სწორედ ჩემის მუცლის საქმეა. ვახსენე ის წყეული სასმელ-საჭმლის დუქანი და მუცელმაც წივილი დამიწყო. დემეტრე! დემეტრე! ბიჭო! მა თავ-შავა დედალს ტაბიკი ესროლე ერთი და მაგდანას უთხარ, ეხლავ ჩამიხოხბე-თქო, აბა ჩქარა... **)

გ. ქრისტიშობისთვე. მე და ჩემი თანამეცხედრე ბარბარე ის იყო დანაყრებას ვაპირებდით. აგიზგიზებულს ბუხარს ვუსხედით და მოშუადღევე-

---

**) აქ შეწყვეტილია დღიური. ეტყობა, ამას შემდეგ ბარძიმის ფიქრი სრულს განსვენებას მისცემია, დამშვიდებულა, დაწყნარებულა და თავიდგან ბანკის აურზაური სრულიად გამოჰქარვებია. მერე ბარძიმი დღიურს დეკემბრიდგან იწყებს, როდესაც რკინის გზის ამბავი ჩასულა კახეთში და ბრწყინვალე ბარძიმის ჩავერფლილი ფიქრი კვლავ გამოუფხიზლებია და აუშლია ქვეყნის საქმის ზრუნვას.

ჯვტ.

გადასწყვიტეს—ჩვენგანი ვერც ერთი ვერ გაჰბედავს უპირატესობის დაჩემებას, ყველანი ერთმანეთს ვუდრით როგორც აზრით, ისე მისწრაფებით და მეტადრე დაუშრეტელის მადით, რომელიც კაცსა შეიქმს კარგსა ავადო, და ამიტომ სულ ყველანი ღირსნი ვართ მთავარ-სარდლობისა.... ჰო, იმას მოგახსენებდით: წამოდგა მეორე მთავარ-სარდალი კრების მეორე კუთხიდგან, განაპო ბაგენი თვისნი და სთქვა შემდეგი: «ბატონებო, რაც მოისმინეთ წინამორბედ ნიჭიერ ორატორისაგან, ისეთი დაურღვეველი ჭეშმარიტებაა და ისეთის მჭევრმეტყველობით გამოთქმული, რომ ვიღას მოგაგონდებათ ძველის დროის ციცერონი, დემოსთენი, პერიკლი და ახალის დროის გამბეტა, გლადსტონი და სხვანი, მუხლს ვიდრეკ წინაშე ამ გამოჩენილის ორატორისა და ქვეყნის სასიქადულო შვილისა, რომ მაგრე სახტად დასვა გაბატონებული გამგეობა და გამოაცალა ქვევიდგან ხალიჩა. დავუმატებ მხოლოდ, რომ არავითარი აზრი არ მოიპოვება გამგეობის სარჩიელში. ერთი, რა აზრი უნდა იყოს იმაში, რომ გავაფართოვოთ სარბიელი ბანკისა, როდესაც არსებულ სარბიელსაც ავიწროებენ და ფულს ისე მაგრა დასწოლიან, რომ, წარმოიდგინეთ ბარბაროსობა! ჩვენს თავად-აზნაურს, ჩვენს სისხლსა და ხორცს, მამულებს უყიდიან, რა არის დროზედ არ შემოიტანეს ვალიო. გაგონილა ასეთი გულქვაობა და»... ორატორს გააწყვეტინა სიტყვა საშინელმა ტაშის-კვრამ. მისცვივდნენ აქეთ იქიდგან დანარჩენი მთავარ-სარდალნი და ულოცავდნენ წარმოუდგენელს გამარჯვებას, საკვირველს შორს-გამჭვრეტელობას, საამურს ორატორულს ნიჭს, გასაშტერებელს მამული-შვილობას, მტრების ულმობელ და ვაჟკაცურ შემუსვრას. როდესაც კარგა დაიქანცა კრება ტაშის-კვრით, ციურის სიამოვნებით, სიამაყით, ორატორთა სიტურფით, მერე ცოტა ხანს დაშოშმინდა, მაგრამ აგერ, ზემო-ლოჟაში დამწყვდეული შადრევანი სიტყვათა შეუწყვეტელის ჩხრიალისა, წკრიალისა, ხრიალისა და თქრიალისა, ჩამოიჭრა ძირს და გააბედნიერა კრება თავისის ჰკვიანურის თათბირით.•. მაგრამ ყველა მთავარ-სარდლები ასეთის ღირსებით აბედნიერებდნენ კრებას და ერთმანეთს ტაშს უკრავდნენ, მტრის თვალების დასაყენებლად. ჩვენ ნუღარ გამოვუდგებით ყველას. გავიხსენოთ მხოლოდ ის, რომ სარჩიელი გამგეობისა დაეჯახა ხელუხლებელს დაბურვილ ტყეს ამოდენა მთავარ-სარდლების გასაშტერებელ სიმტკიცისას და ლაყე კვერცხივით შესკდა მათს სპეტაკ შუბლსა. კრებამ უარჰყო სარჩიელი გამგეობისა, რომელსაც ენა მუცელში ჩაუვარდა ამისთანა მოულოდნელ ორატორთა გამჭრიახობის წინაშე.

მე ეს გმირული ამბავი ძრიელ მომეწონა და დღემდე მწვანე კიტრზედ მეტად მომაქვს თავი, რომ ასეთი სანაქებო მამულის-შვილები გვყვანან. მაგრამ ამ საუცხოვო გამარჯვებას ერთი ნაკლი შევატყე. დღესა ვფიქრობ, იქნება, ბანკის კრებას რომ მიეღო ხსენებული სარჩიელი გამგეობისა, დღეს ჩვენი თავად-აზნაურობა, ასე დაღონებული არ ყოფილიყო ფულის უქონლობით-მეთქი. როგორც ისმის, მოსკოვის ბანკის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა რამდენსამე სამინისტროში და ეხლა ყოველივე მომზადებულია, რომ, საცა ჯერ არს, განხილულ და დამტკიცებულ იქმნას. წარმოიდგინეთ, ჩვენი ბანკიც რომ მიჰხრობოდა მოსკოვისას, დღეს ერთი ნაბიჯი წინ გვექმნებოდა წადგმული, დროებით-კი თავად-აზნაურობა სთხოვდა ხელმწიფე იმპერატორს, ჯერ-ჯერობით ასეთი უფლება მისცემოდა ბანკს მარტო კახეთის გზის თავდებობით. თვითონ ჩვენი ბანკივე მისცემდა სესხს თავად-აზნაურობას და ფული საძებნელი აღარ გაგვიხდებოდა...

მაგრამ მაინც აღწერილი გამარჯვება და მედგრობა ოპოზიციისა, სწორე მოგახსენოთ, დიდი განძია ჩვენთვის და კაი მერმისიც მოელის.

გეგენაშვილი

კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება

19 დეკემბერი

კრება საღამოს $7^1/_2$ საათზედ დაიწყო უფროს ექიმის, ბ-ნ შლიახტინის თავმჯდომარეობით. საზოგადოების მდივანმა, ბ-ნმა გრიგორიევმა წინა კრების გარდაწყვეტილება წაიკითხა და სხვათა შორის, მოიხსენია, რომ საზოგადოებამ წინანდელ კრებაზედ გარდასწყვიტა — დაავალოს ექიმს სახაროვს (რომელიც ახლა პეტერბურგში ექიმთა კრებაზე დასასწრებლად წასულია), პეტერბურგის ხუროთ-მოძღვართა კონგრესს დაესწროს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების დელეგატათაო.

შემდეგ მკურნალებმა რეფერატების კითხვა დაიწყეს. ექიმ რეხტზამერმა მის მიერ ხოლერის შესახებ 1 სექტემბერს წაკითხულ რეფერატის განსამარტებლად კრებას მიკროსკოპით აჩვენა წრევანდელ ხოლერის ბაცილები... შემდეგ მკურნალმა მინკევიჩმა წაიკითხა დიდად საყურადღებო რეფერატი „მუსიკა, როგორც სამკურნალო საშუალება“.

პატივცემულმა ლექტორმა სთქვა: ქართველ ოჯახში ხშირად მინახავს— ავადმყოფს შემოუსხდებიან ქალი და კაცი, რომელნიც გალობა-სიმღერითა და თარით ართობენ ავადმყოფს და ამ გვარად ავადმყოფობის ატანას უადვილებენ. ასეთივე ჩვეულება ჰქონიათ ძველ და ახალ დროის სხვა-და-სხვა ხალხსაც, მაგალითად, ინგლისელებსაც. ინდუსების და ბერძნების ძველ წიგნებშიაც სიმღერა და მუსიკა სამკურნალო საშუალებად არის აღიარებული. ქართულ ძველ კარაბადინებშიაც სწერია თურმე: ავადმყოფის ოთახში შემსვლელთა ახალ-ახალი და თვალისათვის სასიამოვნო ტანისამოსი უნდა ჩაიცვან, აგრეთვე ავადმყოფის წინ დაჰკიდონ მხიარულის ფერის ჩითები, შემდეგ უმღერონ-უგალობონ და გაართონ ავადმყოფიო. ეს ჩვეულება, ლექტორის აზრით, ძველ ბერძნებიდგან უნდა გადაეღოთ ქართველებსა; მაგრამ, სთქვა ლექტორმა, ისიც შესაძლოა, ქართველება თითონ შემოიღეს ეს ჩვეულებაო. მერმე ლექტორმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითი სომხების ცხოვრებიდგანაც, რომ მუსიკა იმათაც სამკურნალო საშუალებად მიაჩნიათო. შემდეგ ბევრი სხვა-და-სხვა მეცნიერთა (მაგალითად, ტაილორის) ნაწერებიდგან ჩამოსთვალა სხვა-და-სხვა ხალხი, რომელსაც სიმღერა-გალობა და მუსიკა სამკურნალო საშუალებად მიაჩნიათ. ბოლოს დაასკვნა პატივცემულმა ლექტორმა: რაც თვალს და ყურს ესიამოვნება, ის გულსაც ამშვიდებს და ავადმყოფს ჯანს უმატებს, რის გამო სენი ისე ძლიერ ვეღარა სტანჯავს ავადმყოფსაო. მუსიკის სამკურნალო მნიშვნელობის მიზეზიც ამაში იმალებაო.

დამსწრე საზოგადოებას ძლიერ მოეწონა ბ-ნ მინკევიჩის რეფერატი.

კრება ღამის 11 საათზედ დაიშალა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

(შემდეგი *)

შემდეგ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე განაგრძობს:

კახეთის რკინის გზის შესახებ უპირველესად ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ ამ გზის პროექტი, გაყვანა და წარმოება სულ სხვა ნიადაგზედ უნდა იყოს დამყარებული ვიდრე რუსეთის სხვა რკინის გზების საქმე. ეს უკანასკნელი გზები სტრატეგიულისა ან კიდევ სხვა რაიმე სახელმწიფოსთვის სასარგებლო განზრახვით არის გაყვანილი; ამ გზების გასაყვანად თვით მთავრობა შეელოდა და ამიტომ რკინის გზის გამყვანთ შეეძლოთ არ ედარდნათ, შემოსავალს მოგვიტანს, თუ არა, ეს გზებიო. ხოლო ჩვენი თავად-აზნაურობა იმდენად შეძლებული და მდიდარი არ არის, რომ შეეძლოს არ მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რამდენ ხანს შემდეგ მოგვიტანს კახეთის რკინის გზა იმდენ შემოსავალს, რომ რკინის გზის წარმოების ხარჯიც დაჰფაროს და იმ ფულის სარგებელიცა და თავნიც დაგვიბრუნოს, რომელიც დაიხარჯა ამ გზაზეო. ამიტომ თავად-აზნაურობას არ შეუძლიან იმ აზრით იხელმძღვანელოს, რომ მერმისში, როდისმე კახეთის რკინის გზა დიდად სასარგებლო იქნებაო. თავად-აზნაურობამ მხედველობაში უნდა მიიღოს აწინდელი კახეთი-აწინდელი მისი სიმდიდრე და ავლადიდე, ბა და არა კახეთის მომავალი სიმდიდრე და მომავალი მრეწველობა. ძნელი არ არის, რომ ისეთის რკინის გზით, რომლითაც ძლიერ ცოტა საქონელი გადმოგაქვთ, შემდეგ დიდძალი საქონელი გადმოიტანოთ. მაგრამ წინააღმდეგ, შემთხვევაში-კი, თუ ისეთ ადგილს გაიყვანეთ რკინის გზა, რომელიც ძლიერ ძვირად დაგიჯდებათ, და იმ ადგილს-კი ძლიერ მცირე მრეწველობაა და, მაშასადამე, ცოტა საქონელიცაა გადმოსატანი, ამ შემთხვევაში საქმეს არა ეშველება-რა. მარტო სახელმწიფოს შეუძლიან აიტანოს ამ შეცდომისაგან მონხდარი დეფიციტები. ხოლო კერძო საზოგადოებანი, ქალაქები, ერობა და მაშასადამე, თავად-აზნაურობაც ამ შეცდომას ვეღარ გაასწორებს და დეფიციტს ვერ აუვა.

მაგალითი თვალ-წინა გვაქვს—ტამბოვისა და სარატოვის ერობის მიერ გაყვანილი გზები, რომელთაც ისეთი გზები გაიყვანეს, რომ ხარჯი ვერ დაჰფარა.

მაშასადამე, საჭიროა კახეთში იაფ-ფასიანი რკინის გზა გაკეთდეს, რომლის ერთი ვერსის გაყვანა ეღირება 8—10 ათასი მანათი. ეჭვი არ არის, რომ ასეთი რკინის გზა, კახეთის აწინდელის ვაჭრობისა და მრეწველობის მიხედვითაც-კი, სულ ხუთის წლის შემდეგ თავის ხარჯს დაჰფარავს. ვებერის აზრით, არც ერთი რკინის გზა არ არის ისეთი, რომლის შემოსავალსაც არ შეიძლება არ მოემატოს, თუ ეს გზა რიგიანად აწარმოვეს. მაშ კახეთის რკინის გზა, თუ, რაც შეიძლება, ცოტა ფულს მოანდომებენ და საქმეს რიგიანად აწარმოვებენ, ათისა ან თორმეტის წლის შემდეგ ადვილად შემოუტანს თავად-აზნაურობას ყოველ წლივ 300,000 მანათზე მეტს წმინდა მოგებას

თუ კახეთის რკინის გზის სიგძე 160 ვერსად ვიანგარიშეთ, ამ გზის გასაყვანად თავად-აზნაურობას დასჭირდება 1,700,000 ან 2,000,000 მანათამდე.

(შემდეგი იქნება)

გასართობი

„ქვეყნის განადგურება“

(ტრაგედია 3 მოქმედებად)

მოქმედება პირველი

სცენა უდაბურ ტყეს წარმოადგენს. მარჯვენა მხრიდგან ჩვენი ჯარი შემოდის, მარცხენა მხრიდგან მტრისა და ებრძვიან ერთმანეთს. ხმლის ტრიალია. ჩვენი ჯარი იმარჯვებს და მტრის ჯარს ერთიანად გასწყვეტავს.

მოქმედება მეორე

სცენა მაღალ მთას წარმოადგენს, მარცხნივ ტყეა. პირველ მოქმედებაში დახოცილი მტრის ჯარი წამოდგება და მთაში ადის. ჩვენი ჯარი უკან მისდევს, კიდევ ომი. ახლა მტერი იმარჯვებს და ჩვენს ჯარს დაჰხოცავს.

მოქმედება მესამე

ჩვენი ჯარი ძლიერ გაჯავრდება, რო-

ბას ველოდით, რომ სადილი გვეჭამა. მუცელი-კი როგორღაც მივლიდა, ამომტიროდა. ცეცხლზე ნიგვზის ჩურჩხელასა ვხუხავდი და იმით ვიჩუმებდი აყეფებულს მადას. ბარბარე ყურებს იჩიჩქნიდა და თან თოვლში ამოსვრილს კაბის ქობას იშრობდა. ის იყო უნდა წამოვეძახნა: „ბარბარე, შუადღემ ძალიან დაიგვიანა, მოიტა, სუფრა გავშალოთ, კუჭი მეტად ამეშალა“-მეთქი, რომ ცხენის თქარათქური მოისმა და რამდენსამე ხანს შემდეგ ოთახში თავადი გოჯასპირი შემოვიდა ჩოხის კალთებ-აკეცილი და დათოვლილს ნაბადსა და ყაბალახში გახვეული. მაშინვე წამოვუდექით ძვირფასს სტუმარს და ბუხართან მივიპატიჟეთ. ბარბარე გოჭის დასაჭერადა და გასატრუსად გავიდა. მიამა, მეც ჩავიგემრიელებდი სტუმრის მიზეზით გოჭით პირს. რაღა თქმა უნდა, გოჭის გატრუსვა და სუფრის გაშლა ერთი იყო. მერე ისეთი ჩიხითმა მოეხარშა იმ შეჩვენებულს მაგდანას, რომ, სულ ცოტა, თითო ჯამი თითო მოზრდილ სოფლადა ჰღირდა. ის იყო საყველაწმინდოს ვუახლოვდებოდით, რომ გოჯასპირმა მოწაფებული ყანწი შესწყვიტა.

— კაცო, მართლა, ქალაქში არ მოდიხარ? დალახვროს ღმერთმა, ბარბარეს ჩინებულმა სადილმა სულ ერთიანად დამავიწყა, რა საქმისათვისაც მოვედი.

— ვეჟო-და, ქალაქში რა მინდა?

— რა ვიცი, მარშალს დაუბარებივართ: ხელმწიფემ ბრძანა, კახეთში რკინის გზა უნდა გაიყვანოთ უეჭველად და თქვენ რას იტყვითო?

— ბეჩა, რა უნდა ვსთქვათ, თუ-კი ხელმწიფემა ბრძანა?

— ოღონდაც, გენაცვა, ხელმწიფის ბრძანებას სად გავექცევითო, დაატანა სიტყვა ბარბარემ.

— ასე-კია და ახლა შენ იცი. მოდით, ვნახოთ, ავწონ-დავწონოთ საქმე, ვიანგარიშოთ, ან რა დაჯდება, ან ზარალი ხომ არ არისო.

— ქაა, საზარალო რად იქნება, თუ-კი ხელმწიფეს უბრძანებია. ხელმწიფე ჩვენთვის ზარალს რად მოინდომებდა?

— დამაცა, ბარბარე, მეც მათქმევინე რამე, კაცი არა ვარ, რა ვქნა!.. შენა, გოჯასპირ, რას აპირებ, წახვალ? ვეჟო, ამოდენა ქვეყნის საქმემ ჩვენ-კი ჩვენი დაგვმართა-და. გუშინ არ იყო ქალაქიდგან ჩამოვედი, ჯერ უზანგოდგან ფეხი არ გამომიყვია და კიდევ გვიბარებენ?.. კარგად მოგეხსენება, ჩვენც ოჯახი გვაქვს, მოვლა უნდა, პატრონობა... ვინ ამბობს, მოვალენი ვართ, ქვეყნის სამსახურსა და ხელმწიფის ბრძანებას, ბარბარესი არ იყოს, ვერსად გავექცევით, მაგრამ ეგ ოჯახ-დაქცეულები სულს აღარ მოგვაბრუნებენ?!.

— რას იზამ, ძმაო ბარძიმ, ოღონდაც რომ ჭეშმარიტებასა ბრძანებ, მაგრამ წაუსვლელობაც რომარ გვარგებს. ვინ იცის, რა მოხდეს. ახლა აქ ხელმწიფეც არის გარეული და ეს უფრო მაფიქრებს.

— მართალს ამბობ, მართალს, გოჯასპირ, რა-კი უბრძანებია, უნდა წავიდეთ.

იდ. ქრისტიშობისთვე. დალახვროს ჩემმა ეშმაკმა, ქალაქში წამოსვლას არ ვაპირებდი, მეზარებოდა, მაგრამ სულ-კი ბარბარეს ბრალია. ღვთის წინაშე, ეს ერთი-კი ძალიან ჭკვიანური მოუვიდა ბარბარეს. ვეჟო-და, კაცს ხომ უფრო მეტი გონება აქვს და ნეტა მე რატომ ვერ მოვიფიქრე. იმ დღეს, გადაწყვეტით რომ ვსთქვი, არ წავალ ქალაქს, ამ თოვლსა და წუნწუხში სიარულის თავი სადა მაქვს-მეთქი, ბარბარემ თავის ჭკუის კოლოფიდგან ერთი ბრძნული რჩევა მომცა.

— კაცო, ახლა რომ აგიჟინია, არ წავალო, ხელმწიფეს რომ ამბავი მიუტანონ, ბარძიმი შენს ბრძანებაზედ ტახტიდგანაც-კი არ დაიძრაო, ხომ ძალიან ეწყინება და დაგემდურება. ქვეყანაში რაღ უნდა გამოერჩიო, ხელმწიფის საწყენს საქმეს რად უნდა დაადგეო.

ოღონდაც რომ ჭკვიანი სიტყვა იყო. ისე მეამა ბარბარესაგან ასეთის დალაგებულის საუბარის გაგონება, რომ იქავ პირის ბანაზედ სველ ხელ-პირიანი გადავეხვიე და ი ძეხვატუჩები ჩავუტლაშნე.

— შენ-კი გენაცვალე მაგ მსუქან გიშრის თვალებში! შეგტყობია ბარძიმის ცოლობა!.. კიდეც იმიტომ გიყვარს, შე დასაქცევო, ისე ქათმის თავის ჭამა, რომ აგრე გეტიკნება ე გოგრა ტვინითა-მეთქი.

იზ. ქრისტიშობისთვე. აგერ მეორე დღეა ქალაქში ვარ. იმდენი თავად-აზნაურობა მოკრეფილა, ასე გონია, ისევ ბანკის ანგარიში ჰქონდეთო. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, ჯერ-კი კარგად ვერა გამომირკვევიარა, ბურანში ვარ, ბურუსში ვტრიალებ. თათბირი კვირასა გვაქვს, ქრისტიშობისთვის კ-სა. ის თავისას იტყვის, მე — ჩემსას ვურჩევ ქვეყანას და საერთო ღონით საქმეც გამოირკვევა... ვეჟო-და, ერთი უნდა ვკითხო ვისმე, რა ეშმაკი ატარებს ი რკინის გზას უცხენებოდა და უკამბეჩებოდ?!. ***)

ალფა

---

*) იხ. „ივერია“ № 270.

***) აქ დღიური კვლავ სწყდება, მაგრამ ეხლა-კი იმედია, რომ ბარძიმი სარკინის-გზო კრების გათავებისას კიდევ მოგვაწოდებს თავისს ნაწერს და გაგვაგებინებს, რა სთქვეს, რა ილაპარაკეს, რა რჩევა მისცა ქვეყანას და რა გადასწყვიტეს.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ თუ მტერმა დაგვძლია და დაგვხოცა, წამოდგება და მტერს დაეცემა. იბრძვიან. მზე ჩადის. მთვარე სკდება. ვარსკვლავები ცას მოსწყდება და მიწას სცვივა. მეომარნი ვარსკვლავებსა ჰკრეფენ და ერთმანეთს ესვრიან. მიწა იძვრის. საშინელი გოლვაა, წვიმა, თოვლი, სეტყვა და ქარიშხალი. შექა და ქუხილი. ქუხილი და შექა. დამბაჩებისა, თოფებისა, ზარბაზნებისა და ყუმბარების სროლა. სუფლიორი თავის ბუდკაში დინამიტს აფეთქებს, სცენა და მთელი თეატრი კომლით ივსება. არაფერი აღარა სჩანს-რა... ვაშა!..

???

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო რკინის გზის მოხელეს ბ-ნს ი. ხუთერელს, რომელმაც, წაიკითხა თუ არა თურმე ჩემი წერილი „ივერიაში“, იმავე დღეს მიშოვა წიგნები და გუშინ კიდეც მივიღე სრულად.

ახალ-სენაკი

თავართქილაძე

1892 წ. 15 დეკემბერი

დეპეშა

17 დეკემბერი

პეტერბურგი. გაზეთ „Школьное Обозрѣніе“ სხვა პატრონს გადაეცა და მომავალ წლიდგან პეტერბურგში დაიბეჭდება.

პარიჟი. პოლიციის პრეფექტურის შენობაში, პრეფექტის სადგურ ქვეშ საყარაულოში აფეთქება მოხდა, შენობა ძრიელ დაზიანდა. ხალხი არავინ დაშავებულა.

პეტერბურგი. ბირჟა. ტფილისისა და ქუთაისის ბანკების გირავნოვის ფურცელში იძლევიან: 6%—102¼ მან., 5%—100 მან., 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა—97¾.

19 დეკემბერი

პეტერბურგი. დღეს დიდის ამბით აკურთხეს და გაჰმართეს პეტერბურგში განყოფილება განცხადებათა კანტორისა მოსკოვის სავაჭრო სახლისა „ლ. ი. ე. მეტცლ და კ°“.

გამოეცხადა უმაღლესი მადლობა ზოგიერთს ნაკაზნი ატამანებს და აფიცრის ჩინის პატრონთ 12 დონისა და 12 ორენბურგის ასეულებისას იმ ღვაწლისათვის, რომელიც გასწიეს მობილიზაციის დროს ამ ზაფხულს. ყაზახებს გამოეცხადა მეფის მადლობა.

უმაღლესის სიგელით ნაბრძანები იქმნა მიეთვისოს სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტს პეტერბურგში, სახსოვრად მის უავგუსტოეს დამაარსებელისა, სახელწოდება სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტისა იმპერატორ ნიკოლოზ I-ისა. გუშინ იქმნა გარდახდილი 50 წლის იუბილეი ამ ინსტიტუტისა. შუადღისას ინსტიტუტში მიბრძანდნენ დიდნი მთავარნი, მინისტრები, სხვა წარჩინებულნი კაცნი და დეპუტაციები 42 სხვა-და-სხვა დაწესებულებათაგან; ხოლო 1 საათზე მიბრძანდნენ მათი უდიდებულესობანი და გაემართნენ ეკკლესიაში, სადაც მიტროპოლიტმა პალლადიმ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. შემდეგ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სააქტო დარბაზში, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრმა წაიკითხა ზემოხსენებული სიგელი და დაათვალიერეს გამოფენილი ნიმუშები ნაკეთობისა. მათი უდიდებულესობათა წაბრძანების შემდეგ, იყო აქტი ყოვლითა გამოჩინებითა. აქტი დასრულდა შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვით 6½ საათზე „Дворянское Собраніе“-ში იყო სადილი 300-ზედ მეტის სულისათვის, ხოლო დღეს იქნება საუზმე სტუდენტებისათვის.

«Бирж. Вѣд.»-ი იუწყება, რომ განზრახვა აქვთ, გაგარინის სანავოსნო საზოგადოებას მისცენ 450,000 მანათი, რათა მან მეტოქეობა გაუწიოს ავსტრიის სანოვოსნო საზოგადოებას.

ქირით მიცემულ სახლებზედ გარდასახადის შემოღების პროექტს ამ დღეებში წარუდგენენ სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად, განზრახვა აქვთ, ეს გარდასახადი 1893 წლის თებერვლიდგან შემოიღონ.

პარიჟი. კომისიამ მოისმინა «Моск. Вѣд.»-ის წარმომადგენლის შჩერბანის მოხსენება, რომელმაც განაცხადა, გაზეთს „Моск. Вѣд.“-ის არავითარი ფული არ მიუღია პანამის საზოგადოებისაგანაო და ჰკითხა კომისიას, ხომ არავის უთქვამს, ამ გაზეთის თანამშრომელი ვარ და ფული ხომ არ მიუღიაო. კომისიამ უარი განაცხადა, არავის არ მიუღიაო.

ნიუ-იორკი. ნიო-იორკისა და ლონგეილანდის გვირაბების გამკეთებელ საზოგადოების ქარხანაში გაუფთხილებლად დინამიტის აფეთქება მოხდა; დაინგრა ფოსტის ბიურო და კიდევ რამდენიმე შენობა. ექვსი კაცი მოკლულ იქმნა და ბევრი დაშავდა.

პეტერბურგის ბირჟა, 18 დეკემბ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,96	8	— ,,
ტფამოჟნის კუპონები .	159	160	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,08	1,10	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	242½
—მეორისა	— ,,	— ,,	222
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	191¼	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	102¼	— ,,	— ,,
5%	100	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6% .	102¼	— ,,	— ,,
5%	100	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98¾	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „	4 „
„ „ 2 „ „ „	3½
„ „ 3 „ „ „	3 „
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „	5 კ.
„ „ „ 2 „	4 „
„ „ „ 3 „	3½

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ.	7 კ.
მე-2 „ „ „ „	5 „
მე-3 „ „ „ „	4 „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა	7 კ.
სუკი — — —	12 „
ცხვრის ხორცი — —	7 „

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—150)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1893 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებნი უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუგაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

კახურის ღვინის ვაჭრობა
ალექსანდრე ემელიანის ძის თუნიევისა.

ვუცხადებთ ჩვენს მუშტრებს და სხვათაც, რომ ტფილისში (მიხეილის ქუჩაზედ, № 72, მიხეილის საავადმყოფოს ახლოს) კახურის ღვინის ვაჭრობა გვაქვს გამართული 1870 წლიდგან. თუ შემოგვიკვეთავს ვინმე, კარგის ღირსებისას და პირიან ფასად ვგზავნით ღვინოს ყველგან. საუკეთესო ღირსების ღვინოების ყიდვისათვის შემდეგი ჯილდოები გვაქვს მიღებული.

პარიჟიდგან დიდი ვერცხლის მედალი, ჟენევიდგან (შვეიცარიაშია) დიდი ოქროს მედალი და პირველი ჯილდო ლენტით, ბრიუსელიდგან (ბელგიაშია) დიდი ოქროს მედალი, მარსელის აკადემიისაგან ორდენი საპატიო ლეგიონისა ლენტით, ნიცადგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით აქასიოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯილდო ლენტით, ბორდოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით, პარიჟის აკადემიისაგან ღვინის ღირსების შედარების შემდეგ დიდი ოქროს მედალი, ლონდონიდგან (ინგლისშია) დიდი ოქროს მედალი ჯილდო ლენტით, ყაზანიდგან ვერცხლის მედალი, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსაგან ვერცხლის მედალი და ნიდერლანდის სამეფოდგან დიდი ოქროს მედალი და ნიშანი ლენტითურთ.

მოწმობანი:

კავკასიის გამოფენის საპატიო მოწმობა, დიპლომი პარიჟის აკადემიისა, მე-43 დრაგუნთა ტვერის პოლკის მოწონების ფურცელი, მოწმობა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი, მოწმობა ამავე საავადმყოფოს ექიმებისაგან, მოწმობა კავკასიის სამკურნალო მმართველობისაგან, მოწმობა რკინის გზის სამკურნალოსაგან და მოწმობავე კავკასიის საზოგადო პრიკაზისაგან.

წიგნის მოსაწერი ადრესი: ქ. ტფილისი, ალექსანდრე თუნიევს (ღვინის საწყობი მიხეილის ქუჩაზედ, № 72.).

ალექსანდრე ე. თუნიევი.

(10—165—8)

Открыта подписка на 1893-й годъ

на издающуюся въ гор. Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную газету

IX г. изд. „СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“, IX г. изд.

выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго носитъ газета.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Безъ доставки и пересылки:	Р.	К.	Съ доставкой и пересылкой	Р.	Х.
На годъ.	4	50	На годъ.	5	50
— полгода.	2	50	— полгода	3	—
— 3 мѣсяца.	1	50	— 3 мѣсяца	1	75

(Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками).

=Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.=

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакціи „Сѣвернаго Кавказа“.

Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Декабря 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.